საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10955/01
20/10/2021

10955-01-2-202110201654

შპს „საგურამო ენერჯის“
მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას I შესახვევი №33

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N15560 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში 4,4 მგვტ სიმძლავრის „საგურამო ჰესის" ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, საგურამო ჰესის მიწისქვეშა სადაწნეო მილსადენის დერეფანი ხვდება თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. არსებული მდგომარეობით, მილსადენის დერეფანში წარმოდგენილია ბუჩქნარი. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „ჰესის ფუნქციონირების აღდგენისათვის ძველი ინფრასტრუქტურა საჭიროებს გარკვეულ რეკონსტრუქციას“, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კონკრეტულად სადაწნეო მილსადენის რეკონსტრუქციის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია საგურამოს ნაკრძალი და მისი საზღვრები, რაც საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიას მინიჭებული აქვს თბილისის ეროვნული პარკის სტატუსი;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სადაწნეო მილსადენთან დაკავშირებით, საქმიანობა შეთანხმებულია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, თუმცა, შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის. გარდა ამისა, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ტერიტორიაზე საქმიანობა სააგენტოსთან შეთანხმებული აქვს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან, დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიას წარმოადგენს შპს „საგურამო ენერჯი“;
- საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც ხვდება დაცული ტერიტორიის საზღვრებში, დაგეგმილი სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა

ტერიტორიას მიენიჭოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა, რაც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაცემებით, საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება. სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული გარემოება;

- წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, არსებული მილსადენის სიგრძეა 1,14 კმ, ხოლო სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ არსებული მილსადენის სიგრძე თავდაპირველად იყო 220 მ, ხოლო შემდგომში გაიზარდა 20-30 მეტრით, აქვე მითითებულია, რომ მილსადენის საერთო სიგრძეა 1300 მ. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია, გარდა ამისა, მილსადენის რეალური სიგრძე თანხვედრაში უნდა იყოს shp ფაილებთან;
- წარმოდგენილ shp ფაილებში ასახული არ არის ჰესის ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი;
- სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი და ერთმანეთთან შედარებული ჰესის არსებული ინფრასტრუქტურა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილებები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია „მილსადენის ძაფი“. აღნიშნული ტერმინი საჭიროებს დაზუსტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე